

## საქართველოს კანონი

### „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, No 44, 11.11.1997, გვ. 86) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მუხლი მე-12<sup>1</sup> ამოღებულ იქნეს
2. კანონს დამატოს II<sup>1</sup> თავი - ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტო

II<sup>1</sup> თავი - ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტო

**მუხლი 1.** სააგენტოს სამართლებრივი სტატუსი და საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი

სააგენტო არის ამ კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი, სააგენტოს დებულება და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

**მუხლი 2.** ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტოს სტატუსი, ამოცანები და უფლებამოსილებები:

1. კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი და კოორდინირებული ბრძოლის ხელშეწყობის და საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციის მიზნით იქმნება ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო). სააგენტო დამოუკიდებელია თავისი საქმიანობის განხორციელებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

2. სააგენტოს ამოცანები, უფლებამოსილებები და ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება ამ კანონით და სააგენტოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

3. სააგენტოს ამოცანებია:

ა) თანამდებობის პირების მიერ საჯარო სამსახურში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის მიზნით ამ კანონით დადგენილი ნორმების შესრულების უზრუნველყოფა.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის ხელშეწყობა კორუფციის პრევენციის კუთხით.

გ) საქართველოს საჯარო უწყებების საქმიანობის გაუმჯობესება კორუფციის პრევენციის კუთხით.

დ) კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრა.

ე) საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ საქართველოს საერთაშორისო ანტიკორუფციული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა.

ვ) საერთაშორისო ანტიკორუფციული ორგანიზაციებისა და მექანიზმების ფარგლებში თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

#### 4. სააგენტოს უფლებამოსილებებია:

ა) თანამდებობის პირის მიერ საჯარო სამსახურში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის პრევენციის და აღმოჩენის მიზნით ამ კანონით დადგენილი ნორმების შესრულების შემოწმება, შემოწმების საფუძველზე დასკვნის მომზადება და გამოქვეყნება. სააგენტო შემოწმებას ახორციელებს საკუთარი ინიციატივით ან მიმართვის საფუძველზე. თანამდებობის პირის ქმედებაში კორუფციული დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, მასალების გადაგზავნა საგამომიებო ორგანოებისთვის შემდგომი რეაგირების მიზნით;

ბ) თანამდებობის პირის მიმართ ამ კანონით დადგენილი სანქციების გატარება;

გ) თანამდებობის პირის მიერ ამ კანონით დადგენილი თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, თანამდებობის პირის დანიშვნასა და გათავისუფლებაზე პასუხისმგებელი ორგანოსთვის მიმართვა მისი თანამდებობიდან გათავისუფლების რეკომენდაციით;

დ) თანამდებობის პირთა მიერ ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად საჯარო სამსახურის ბიუროსთვის წარდგენილი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შემოწმება, დარღვევის აღმოჩენისას ამ კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება;

ვ) კორუფციის პრევენციის კუთხით საქართველოს კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით საკანონმდებლო წინადადებების მომზადება და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა;

ზ) კორუფციის პრევენციის კუთხით საჯარო უწყებების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების მომზადება და გამოქვეყნება;

თ) საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება, პერიოდული განახლება და შესრულების მონიტორინგი;

ი) თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებთან საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციის მიზნით.

კ) ამ კანონის მოქმედებისათვის საჭირო ნორმატიული აქტებისა და დოკუმენტაციის შემუშავება და გამოცემა, მათი საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცია.

## **მუხლი 2. თავჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნა**

1. სააგენტოს ხელმძღვანელობას უწევს თავმჯდომარე.

2. სააგენტოს თავმჯდომარე ინიშნება ღია კონკურსის წესით.

3. სააგენტოს თავჯდომარის შესარჩევ საკონკურსო კომისიას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. კომისიის შემადგენლობაში პროპორციულობის პრინციპის დაცვით შედიან საქართველოს მთავრობის, საქართველოს პარლამენტის, სასამართლო ხელისუფლების, აგრეთვე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

4. კომისია შედგება 12 წევრისგან, რომელთაგან 3 წევრი წარმოადგენს საქართველოს მთავრობას, 3 წევრი - პარლამენტს, 3 წევრი - სასამართლო ხელისუფლებას, ხოლო 3 წევრი - არასამთავრობო სექტორის ორგანიზაციებს, რომლებსაც კორუფციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკის საკითხებზე მუშაობის სულ მცირე სამწლიანი გამოცდილება აქვთ და რომლებსაც ირჩევს პარლამენტის თავმჯდომარე.

5. თავმჯდომარე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო უმაღლესი განათლება, შესაბამისი პროფესიული გამოცდილება და საქმიანი და მორალური თვისებებით შეუძლია შეასრულოს თავჯდომარის ფუნქციები.

6. თავჯდომარის შესარჩევი კომისია ხმათა უმრავლესობით შეარჩევს თავჯდომარის კანდიდატურას და მას წარუდგენს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.

7. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე 15 დღის ვადაში თავმჯდომარის კანდიდატურას წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

8. საქართველოს პარლამენტი პარლამენტის თავმჯდომარის მიერ სააგენტოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სააგენტოს თავმჯდომარეს. თუ კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე 30 დღის ვადაში საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ახალ კანდიდატურას.

9. თავმჯდომარე უნდა შეირჩეს თანამდებობაზე მყოფი თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უადრეს 60 და ვადის გასვლიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

10. ახალარჩეული თავმჯდომარის უფლებამოსილება იწყება თანამდებობაზე მყოფი თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლის მომდევნო დღიდან, თუ თავმჯდომარე აირჩევა ამ ვადის გასვლამდე, ხოლო არჩევის მომდევნო დღიდან - თუ თავმჯდომარე აირჩა ამ ვადის გასვლის შემდეგ ან თუ ვადამდე შეწყდა წინა თავმჯდომარის უფლებამოსილება

11. თავმჯდომარე აირჩევა 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

12. თავმჯდომარის უფლებამოსილება წყდება თავმჯდომარის არჩევიდან 5 წლის გასვლისთანავე ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას.

### **მუხლი 3. თავმჯდომარის თანამდებობრივი შეუთავსებლობა**

1. თავმჯდომარის თანამდებობა შეუთავსებელია საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წევრობასთან, სახელმწიფო სამსახურში ნებისმიერ თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და სახელოვნებო საქმიანობისა. თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

2. შერჩევიდან ერთი თვის ვადაში თავმჯდომარე ვალდებულია შეწყვიტოს მის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა. თუ თავმჯდომარე აღნიშნულ ვადაში არ შეასრულებს დადგენილ მოთხოვნას, მისი უფლებამოსილება წყდება და თავმჯდომარის შესარჩევი კომისია პარლამენტის თავმჯდომარეს წარუდგენს თავმჯდომარის ახალ კანდიდატურას.

#### **მუხლი 4. თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა**

1. თავმჯდომარეს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

ა) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

ბ) ზედიზედ ოთხი თვის განმავლობაში ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა;

გ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

დ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

ე) დაიკავა ან უკავია თავმჯდომარის თანამდებობისათვის შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა მასთან შეუთავსებელ საქმიანობას

ვ) ნებაყოფლობით გადადგა თანამდებობიდან;

ზ) გარდაიცვალა.

2. თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი ახალ თავმჯდომარეს ირჩევს საქართველოს მოქმედი თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არა უგვიანეს 30 დღისა. ახალი თავმჯდომარის არჩევამდე, მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე. ასეთ შემთხვევაში იგი სარგებლობს თავმჯდომარისათვის მინიჭებული უფლებებით, სამართლებრივი გარანტიებით და ხელშეუხებლობით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში თავმჯდომარის უფლებამოსილება შეწყვეტილად ჩაითვლება აღნიშნული მდგომარეობის დადგენის მომენტიდან, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს პარლამენტს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში თავმჯდომარის უფლებამოსილება წყდება საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.

#### **მუხლი 5. სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა**

1. სააგენტოს საქმიანობის დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავლები. ხარჯთაღრიცხვის პროექტს კანონით დადგენილი წესით წარადგენს სააგენტოს თავმჯდომარე. თავმჯდომარის

და აპარატის საქმიანობისათვის საჭირო ასიგნებები განსაზღვრულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკე კოდით.

2. სააგენტოს თავმჯდომარე უფლებამოსილია ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების განსახორციელებლად და მოვალეობების შესასრულებლად მიიღოს გრანტები და შემოწირულობები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სააგენტო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სააგენტოს აპარატის (შემდგომ-აპარატი) დახმარებით.

4. აპარატის სტრუქტურა და საქმიანობისა და თანამშრომელთა შორის უფლებამოსილებების განაწილების წესი განისაზღვრება აპარატის დებულებით.

### **მუხლი 6. სააგენტოს თავმჯდომარის დამოუკიდებლობა**

1. სააგენტოს თავმჯდომარე თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება არც ერთ სხვა თანამდებობის პირს ან ორგანოს. თავმჯდომარეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია და ისჯება კანონით.

2. თავმჯდომარის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ვალდებულია შეუქმნას მას საქმიანობის სათანადო პირობები.

3. თავმჯდომარეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტის გამო, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი საქმიანობის განხორციელებიდან გამომდინარე. ეს უფლებამოსილება მას უნარჩუნდება უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

### **მუხლი 7. სააგენტოს მიერ შემოწმების ჩატარება, დასკვნის მომზადება და გამოქვეყნება**

1. ფიზიკური ან იურიდიული პირის, სახელმწიფო ორგანოების, არასამათავრობო სექტორის წარმომადგენლების მიერ წარდგენილი განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას შემოწმების დაწყების შესახებ ამ კანონით დადგენილი ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით.

2. შემოწმების დაწყების ან შემოწმების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტო გადაწყვეტილებას იღებს 15 დღის ვადაში განცხადების წარდგენის დღიდან.

3. შემოწმების პროცესში ის სახელმწიფო ორგანო, თანამდებობის ან იურიდიული პირი, რომლის გადაწყვეტილება ან მოქმედება მოწმდება, ვალდებულია 10 დღის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხზე.
4. შემოწმების საფუძველზე სააგენტო შეიმუშავებს დასკვნას. დასკვნა შეიცავს კონკრეტულ საქმეზე ფაქტების აღწერილობას და შესაბამისი ქმედების სამართლებრივ ანალიზს.
5. დასკვნა არ წარმოადგენს სააგენტოს მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას.
6. სააგენტო დასკვნას აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება, რომ დასკვნის გამოქვეყნება საგამოძიებო, სისხლის სამართლის ან სხვა საზედამხედველო და სასამართლო პროცედურების მსვლელობას შეაფერხებს, სააგენტო თავს შეიკავებს დასკვნის გამოქვეყნებისაგან.
7. იმ შემთხვევაში, თუ თანამდებობის პირის ქმედებაში შეინიშნება კორუფციული დანაშაულის ნიშნები, სააგენტოს თავმჯდომარე დასკვნას უგზავნის შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს შემდგომი რეაგირების მიზნით.

#### **მუხლი 8. სააგენტოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება**

1. სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მისი გადაწყვეტილებები საჯაროა.
2. სააგენტო საქართველოს პარლამენტს ყოველი წლის 31 მაისამდე წარუდგენს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს.
3. სააგენტოს საქმიანობის აუდიტს ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.
4. სააგენტო უფლებამოსილია თავის საქმიანობაში ჩართოს კორუფციის პრევენციის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

#### **მუხლი 9. სააგენტოს წვდომა ინფორმაციაზე და მასალებზე**

1. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საჯარო დაწესებულებები, თანამდებობის თუ იურიდიული პირები სააგენტოს მხრიდან დასაბუთებული მიმართვის შემთხვევაში, ვალდებულნი არიან უსასყიდლოდ მიაწოდონ სააგენტოს საბუთები, მასალები და სხვა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია სააგენტოს ამ

კანონით დადგენილი უფლებამოსილებების განსახორციელებლად. ასეთ შემთხვევაში საბუთები, მასალები და სხვა ინფორმაცია სააგენტოს უნდა გადაეცეს 10 დღის ვადაში.

2. საჯარო ხელისუფლების ორგანოებს უფლება აქვთ უარი უთხრან სააგენტოს ინფორმაციის მიწოდებაზე იმ შემთხვევებში, როდესაც სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდება საფრთხეს შეუქმნის სისხლის სამართლის გამოძიებას ან მოქალაქეთა და სახელმწიფოს უსაფრთხოებას. ასეთ შემთხვევებში სააგენტოს ეგზავნება წერილობითი უარი ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც უნდა შეიცავდეს ამგვარი გადაწყვეტილების დასაბუთებას.

3. იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ვარაუდი, რომ თანამდებობის პირი მალავს ქონებას და შემოსავალს ამ კანონით დადგენილი შეზღუდვებისთვის გვერდის ავლის მიზნით, ხოლო სააგენტოს ხელი არ მიუწვდება შესაბამის ინფორმაციაზე და არ შეუძლია კანონით დადგენილი უფლებამოსილებების განხორციელება, სააგენტო უფლებამოსილია მიმართოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და სთხოვოს მას მიაწოდოს ინფორმაცია პირის შემოსავლის და ქონების შესახებ, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

4. ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა ინფორმაცია პირის შემოსავლების და ქონების შესახებ სააგენტოს უნდა მიაწოდოს 15 დღის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ ინფორმაციის მოპოვება დაკავშირებულია მონაცემების შეგროვებასა და ანალიზთან, 15 დღიანი ვადა შეიძლება გაიზარდოს 30 დღემდე.

3. მე-13 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### **მუხლი 13. თანამდებობრივი შეუთავსებლობა**

9. თანამდებობის პირი თავისი და თავისი ოჯახის წევრის შეუთავსებლობის აღმოფხვრის დამადასტურებელ საბუთებს წარუდგენს იმ ზემდგომ თანამდებობის პირს (ორგანოს), რომლის უშუალო დაქვემდებარებაშიც იგი იმყოფება, აგრეთვე კადრების შესაბამის სამსახურს და სააგენტოს.

4. მე-15 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 და მე-3 პუნქტი:

2. თანამდებობის პირთა მიერ ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად საჯარო სამსახურის ბიუროსთვის წარდგენილი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახული ინფორმაციის კანონთან შესაბამისობას ამოწმებს სააგენტო.



3. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, სააგენტო აცნობებს შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელს ან საამისოდ უფლებამოსილ პირს, რომელიც კანონის დამრღვევი პირის მიმართ იღებს გადაწყვეტილებას 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავების შესახებ. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არ ათავისუფლებს საამისოდ უფლებამოსილ პირს აღმოფხვრას უზუსტობები თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში.

5. კანონის მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>1</sup>, 1<sup>2</sup> და 2<sup>1</sup> პუნქტები:

1<sup>1</sup> ამ კანონის მე-5<sup>2</sup> მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საფინანსო სააგენტოსათვის საჩუქრის გადაცემის ვადის დარღვევა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, რის თაობაზეც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი-განკარგულება ჯარიმის დაკისრების შესახებ.

1<sup>2</sup> ამ კანონის მე-15 მუხლით დადგენილი წესით ქონებრივ დეკლარაციაში პირის ან მისი ოჯახის წევრის ინფორმაციის ასახვის ვალდებულების უგულვებელყოფა, გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, რის თაობაზეც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი-განკარგულება ჯარიმის დაკისრების შესახებ.

2<sup>1</sup> ამ კანონის მე-20 მუხლის 2<sup>1</sup> და 2<sup>2</sup> პუნქტით გათვალისწინებულ დარღვევებზე ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულებას გამოსცემს სააგენტოს თავმჯდომარე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. პირმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულების ოფიციალური გაცნობიდან არა უგვიანეს 30 დღისა. ჯარიმა გადახდილად ჩაითვლება ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სააგენტოში წარდგენის შემდეგ. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს პირს საჩუქრის გადაცემის, ასევე დეკლარაციაში ინფორმაციის ასახვის ვალდებულებისაგან.

6. მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულების ან სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან 2 კვირის ვადაში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა, საჩუქრის გადაუცემლობა, დეკლარაციაში ინფორმაციის ასახვისგან თავის შეკავება, გამოიწვევს პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება არ ათავისუფლებს პირს დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში პირი

ვალდებულია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლიდან 2 კვირის ვადაში წარადგინოს დეკლარაცია, გადასცეს საჩუქარი, დეკლარაციაში ასახოს ინფორმაცია.

7. კანონს დაემატოს მუხლი 19<sup>1</sup> - საკრებულოს წევრის ეკონომიკური ინტერესების დეკლარაცია

### **მუხლი 19<sup>1</sup> (საკრებულოს წევრის ეკონომიკური ინტერესების დეკლარაცია)**

1. თვითმმართველი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოების წევრები, გარდა ამ კანონის მე-2 მუხლის ფ) ქვეპუნქტში ჩამოთვლილი პირებისა, საკრებულოს წევრად არჩევიდან ორი თვის ვადაში საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგენენ ეკონომიკური ინტერესების დეკლარაციას.

2. საკრებულოს წევრის ეკონომიკური ინტერესების დეკლარაცია შეიცავს შემდეგ ინფორმაციას საკრებულოს წევრისა და მისი ოჯახის წევრების შესახებ:

ა) პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და ტელეფონის ნომერი, მობილური ტელეფონის ნომერი და მოქმედი ელექტრონული ფოსტის მისამართი;

ბ) პირის სამსახური, დაკავებული თანამდებობა, სამსახურის მისამართი, ტელეფონის ნომერი;

გ) პირის, მისი ოჯახის წევრების სახელი, გვარი, დაბადების ადგილი, წელი, თვე და რიცხვი, პირთან ნათესაური ან სხვაგვარი კავშირი;

დ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობაში პირის, მისი ოჯახის წევრის მონაწილეობა – სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილე პირის ვინაობა, საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება, მონაწილეობის ფორმა, საწარმოსმარეგისტრირებული ორგანო და რეგისტრაციის თარიღი, საწარმოს იურიდიული მისამართი, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის დროის მონაკვეთი, საანგარიშო პერიოდში სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი;

ე) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა – სამუშაოს შემსრულებელი პირის ვინაობა, სამსახური, რომელშიც პირს უკავია /ეკავა თანამდებობა ან ასრულებს /ასრულებდა სამუშაოს, თანამდებობის დასახელება ანსამუშაოს შინაარსი;

ვ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლის საგნის ღირებულება აღემატება 3000 ლარს (მათ შორის, წილის მინდობის ხელშეკრულება, ღირებულების მიუხედავად) – ხელშეკრულების სახეობა, ხელშეკრულებაში მონაწილე პირის ვინაობა, ხელშეკრულების საგანი და მისი ღირებულება, ხელშეკრულების დადების თარიღი და მოქმედების ვადა, ორგანო, რომელმაც

მოახდინა ხელშეკრულების სახელმწიფო რეგისტრაცია ან დამოწმება, საანგარიშო პერიოდში ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგი;

ზ) პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული საჩუქარი, რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს – საჩუქრის მიმღების ვინაობა, საჩუქრის გადამცემი, გადამცემის მიმღებთან კავშირი, საჩუქრის სახეობა, საჩუქრის საბაზრო ღირებულება;

თ) დეკლარაციის შევსების თარიღი.

3. საკრებულოს წევრი ვალდებულია თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში ყოველწლიურად, ყოველი წინა დეკლარაციის შევსების დღიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ერთი კვირის ვადაში შეავსოს და წარადგინოს საკრებულოს წევრის ეკონომიკური ინტერესების დეკლარაცია, რომელშიც აისახება საკრებულოს წევრის მიერ წინა წელს შევსებულ დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების ცვლილებები.

4. საკრებულოს წევრი ვალდებულია თანამდებობის დატოვებიდან ორი თვის ვადაში შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

5. საკრებულოს წევრის ეკონომიკური ინტერესების დეკლარაციაში მონაცემები შეიტანება დეკლარაციის შევსების დღის მდგომარეობით.

6. საკრებულოს წევრის ეკონომიკური ინტერესების დეკლარაციის შინაარსის საჯაროობას უზრუნველყოფს საჯარო სამსახურის ბიურო.

7. საკრებულოს წევრის მიერ ეკონომიკური ინტერესების დეკლარაციის კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობა ან დეკლარაციაში კანონით დადგენილი ინფორმაციის ასახვის ვალდებულების უგულვებელყოფა გამოიწვევს იმავე სანქციებს, რაც ამ კანონით გათვალისწინებულია თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი დეკლარაციის წარდგენებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის.

## გარდამავალი დებულებანი

### მუხლი 21<sup>4</sup>

1. ეროვნულმა ანტიკორუფციულმა სააგენტომ ამ კანონის ამოქმედებამდე უზრუნველყოს ქონებრივი დეკლარაციის შემოწმების მეთოდოლოგიის შემუშავება.
2. ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის მანძილზე ეროვნულმა ანტიკორუფციულმა სააგენტომ სათანადო ცვლილებები შეიტანოს შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში.

## განმარტებითი ბარათი

### კანონპროექტზე „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია საჯარო სამსახურში კორუფციის და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისა და გამოვლენის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში განხორციელების ეფექტიანი მექანიზმების არარსებობა, აგრეთვე ზოგადად ანტიკორუფციული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების მხრივ არსებული ინსტიტუციური ვაკუუმი და საქართველოს არსებული ანტიკორუფციული ინსტიტუციური სისტემის შეუსაბამობა ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებთან.

კანონის არსებული რედაქციით, სახელმწიფოს ანტიკორუფციული პოლიტიკის კოორდინირება ევალება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს. თუმცა, საბჭოს შეზღუდული უფლებამოსილებები და მცირე ორგანიზაციული რესურსები აქვს, რის გამოც ის ვერ ასრულებს ანტიკორუფციული პოლიტიკის ცენტრალური აქტორის ფუნქციას.

კანონის არსებული რედაქციით, ეკონომიკური ინტერესების განცხადებისა და გამოქვეყნების ვალდებულება არ ვრცელდება საკრებულოს წევრებზე, გარდა საკრებულოების თავმჯდომარეებისა, მათი მოადგილეების, საკრებულოების კომისიების თავმჯდომარეების და საკრებულოების მდივნებისა. კანონის ამგვარი რედაქცია არ იძლევა საკრებულოს წევრთა უმრავლესობის შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ეფექტიანი მონიტორინგისა და პრევენციის საშუალებას.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზნებია:

1. საჯარო სამსახურში კორუფციის და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისა და გამოვლენის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში განხორციელების უზრუნველყოფა მათ აღსრულებაზე პასუხისმგებელი ცენტრალური უწყების შექმნის გზით.

2. საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის შემთხვევების გამოვლენის ქმედითი მექანიზმების შექმნა.
3. საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის პრევენციის მიზნით დაწესებული სამართლებრივი ნორმების დარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციების ეფექტიანობის ამაღლება.
4. ანტიკორუფციული პოლიტიკის ფარგლებში სხვადასხვა საჯარო უწყების მიერ განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანი კოორდინაცია.
5. საქართველოს ანტიკორუფციული კანონმდებლობის მუდმივი განახლებისა და გაუმჯობესების უზრუნველყოფა.
6. ანტიკორუფციული პოლიტიკის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა.
7. საკრებულოს წევრთა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების მონიტორინგისა და პრევენციის შესაძლებლობების გაუმჯობესება.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

**ანტიკორუფციული საბჭოს გაუქმება**

წარმოდგენილი კანონპროექტით უქმდება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო.

**ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნა, ამოცანები და უფლებამოსილებები**

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნას კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი და კოორდინირებული ბრძოლის ხელშეწყობის და საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციის მიზნით. სააგენტოს ამოცანებია: თანამდებობის პირების მიერ საჯარო სამსახურში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის მიზნით ამ კანონით დადგენილი ნორმების შესრულების უზრუნველყოფა; საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის ხელშეწყობა კორუფციის პრევენციის კუთხით; საქართველოს საჯარო უწყებების საქმიანობის გაუმჯობესება კორუფციის პრევენციის კუთხით; კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრა; საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ საქართველოს საერთაშორისო ანტიკორუფციული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა; საერთაშორისო ანტიკორუფციული ორგანიზაციებისა და მექანიზმების ფარგლებში თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

სააგენტოს უფლებამოსილებები მოიცავს თანამდებობის პირთა საქმიანობის შემოწმებას და შესაბამისი დასკვნის გამოქვეყნებას, ასევე შემოწმების შედეგების გადაგზავნას საგამომიებო ორგანოებისთვის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში; თანამდებობის პირთა მიმართ კანონით დადგენილი სანქციების გატარებას; თანამდებობრივი შეუთავსებლობის შემთხვევაში შესაბამისი უწყებისთვის მიმართვას თანამდებობის პირის თანამდებობიდან გათავისუფლების რეკომენდაციით; თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების შემოწმებას და კანონით გათვალისწინებული ზომების მიღებას დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში; საკანონმდებლო წინადადებების მომზადებას და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენას; საჯარო უწყებებისთვის რეკომენდაციების მომზადებას და გამოქვეყნებას; ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის მომზადებას, განახლებას და შესრულების მონიტორინგს; თანამშრომლობას სამოქალაქო სექტორთან.

### **სააგენტოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა**

კანონპროექტი შეიცავს რიგ დებულებებს, რომელთა მიზანი სააგენტოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფაა. კერძოდ, კანონპროექტი ადგენს სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნის წესს და უზრუნველყოფს პროცესში როგორც ხელისუფლების სამივე შტოს, ისე არასამთავრობო სექტორის მონაწილეობას. სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობიდან თვითნებური დათხოვნისგან დაცვის მიზნით კანონპროექტში დეტალურად არის გაწერილი თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტილის პირობები და პროცედურა. სააგენტოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დამატებითი გარანტიაა კანონპროექტის დებულებები თავმჯდომარის თანამდებობრივი შეუთავსებლობის შესახებ, რომელთა თანახმად თავმჯდომარის თანამდებობა შეუთავსებელია, როგორც ნებისმიერ ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და სახელოვნებო საქმიანობისა, ისე ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის წევრობასთან.

### **სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა**

სააგენტოს დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს ბიუჯეტი. ხარჯთაღრიცხვის პროექტს წარადგენს სააგენტოს თავმჯდომარე. თავმჯდომარის და აპარატის საქმიანობისათვის საჭირო ასიგნებები განსაზღვრულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკე კოდით. სააგენტოს აგრეთვე შეუძლია გრანტებისა და შემოწირულობების მიღება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სააგენტო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს აპარატის დახმარებით, რომლის სტრუქტურას, საქმიანობისა და თანამშრომელთა შორის უფლებამოსილებების განაწილების წესს ადგენს სააგენტოს თავმჯდომარე აპარატის დებულებით.

### **სააგენტოს წვდომა ინფორმაციაზე**

კანონპროექტი სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო დაწესებულებებს ავალდებულებს, რომ სააგენტოს უსასყიდლოდ და 10 დღის ვადაში მიაწოდონ ინფორმაცია, რომელიც მას კანონით დადგენილი უფლებამოსილებების განსახორციელებლად ჭირდება. მათ უფლება აქვთ უარი თქვან ინფორმაციის მიწოდებაზე იმ შემთხვევებში, როდესაც ეს საფრთხეს შეუქმნის სისხლის სამართლის გამოძიებას ან მოქალაქეთა და სახელმწიფოს უსაფრთხოებას, თუმცა ასეთ შემთხვევებში ვალდებულნი არიან სააგენტოს წარუდგინონ წერილობითი უარი, რომელშიც შესაბამისი დასაბუთება იქნება მოცემული. როდესაც საქმე ეხება თანამდებობის პირის მიერ ქონების ან შემოსავლის დამალვის ვარაუდს, სააგენტო უფლებამოსილია მიმართოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების თხოვნით.

### **სააგენტოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება**

სააგენტოს საქმიანობის პროცესში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით კანონპროექტი ავალდებულებს სააგენტოს, რომ საქართველოს პარლამენტს ყოველწლიურად წარუდგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში, აგრეთვე ადგენს, რომ სააგენტოს საქმიანობის აუდიტს ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. კანონპროექტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია თავის საქმიანობაში ჩართოს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

### **პასუხისმგებლობა კანონის მოთხოვნების დარღვევისთვის**

კანონპროექტი ითვალისწინებს ფინანსურ სანქციებს თანამდებობის პირის ქონებრივ დეკლარაციაში ინფორმაციის ასახვის ვალდებულების უგულვებელყოფისა და კანონით აკრძალული საჩუქრის საფინანსო სააგენტოსთვის გადაუცემლობისთვის.

### **საკრებულოს წევრის ეკონომიკური ინტერესების დეკლარაცია**

კანონპროექტის მიხედვით საკრებულოს წევრებს (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, რომლებიც კანონის დღევანდელი რედაქციით ვალდებულნი არიან საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინონ თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაცია) ეკისრებათ საკრებულოს წევრის ეკონომიკური ინტერესების დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება. თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციისგან განსხვავებით, საკრებულოს წევრის ეკონომიკური ინტერესების დეკლარაცია შეიცავს ინფორმაციას მხოლოდ კერძო სექტორთან წარმდგენი პირის კავშირების შესახებ და არ შეიცავს ინფორმაციას მის ქონებასთან დაკავშირებით.



**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

*ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:*  
სახელმწიფო ბიუჯეტი.

*ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:*  
კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

*ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:*  
კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

*ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:*  
კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

*ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:*  
კანონპროექტი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ფინანსურ შედეგებს.

*ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი ადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):*  
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის რაიმე გადასახდელს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივს ტანდარტებთან.**

*გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:*  
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

*გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:*  
კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანტიკორუფციული ქსელის ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

*გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:*  
კანონპროექტის მიღება უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობას კორუფციის წინააღმდეგ გაერო-ს კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებთან.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.**

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ე) კანონპროექტის ავტორი:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

**საქართველოს კანონი**  
**„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“**  
**საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, No 17, 16.06.2003, მუხ. 113) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბ<sup>1</sup> და ბ<sup>2</sup> ქვეპუნქტი:

ბ<sup>1</sup> ეროვნული ანტიკორუფციულ სააგენტოს დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე მიაწოდოს ინფორმაცია პირის შემოსავლის და ქონების შესახებ, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ბ<sup>2</sup> ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა ინფორმაცია პირის შემოსავლების და ქონების შესახებ ეროვნულ ანტიკორუფციულ სააგენტოს უნდა მიაწოდოს 15 დღის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ ინფორმაციის მოპოვება დაკავშირებულია მონაცემების შეგროვებასა და ანალიზთან, 15 დღიანი ვადა შეიძლება გაიზარდოს 30 დღემდე.

**განმარტებითი ბარათი**  
**კანონპროექტზე „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის**  
**შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

კანონპროექტის მიღების მიზეზია ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს შექმნა (რასაც პარალელურად შემოთავაზებული კანონპროექტი ითვალისწინებს).

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიღების მიზანია ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს წვდომის უზრუნველყოფა მისი ეფექტიანი საქმიანობისთვის აუცილებელ ინფორმაციაზე.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

კანონპროექტის თანახმად, ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ევალება, დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, ეროვნულ ანტიკორუფციულ სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია პირის შემოსავლის და ქონების შესახებ, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა სააგენტოს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს 15 დღის ვადაში (ან 30 დღის ვადაში, თუ ინფორმაციის მოპოვება დაკავშირებულია მონაცემების შეგროვებასა და ანალიზთან)

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

*ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:*

კანონპროექტი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ფინანსურ შედეგებს.

*ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილივ ადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):*

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის რაიმე გადასახდელს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივს ტანდარტებთან.**

*გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:*

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

*გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:*

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

*გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:*

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.**

*დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

*დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

*ე) კანონპროექტის ავტორი:*

“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“

*ვ) კანონპროექტის ინიციატორი:*

## საქართველოს კანონი

### „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, No 17, 16.06.2003, მუხ. 113) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ<sup>1</sup>“ და „ბ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტი:

ბ<sup>1</sup>. ეროვნული ანტიკორუფციულ სააგენტოს დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე მიაწოდოს ინფორმაცია პირის შემოსავლის და ქონების შესახებ, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ბ<sup>2</sup>. ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა ინფორმაცია პირის შემოსავლების და ქონების შესახებ ეროვნულ ანტიკორუფციულ სააგენტოს უნდა მიაწოდოს 15 დღის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ ინფორმაციის მოპოვება დაკავშირებულია მონაცემების შეგროვებასა და ანალიზთან, 15 დღიანი ვადა შეიძლება გაიზარდოს 30 დღემდე.

### **მუხლი 2.**

კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

**განმარტებითი ბარათი**  
**კანონპროექტზე „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“**  
**საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

კანონპროექტის მიღების მიზეზია ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს შექმნა (რასაც პარალელურად შემოთავაზებული კანონპროექტი ითვალისწინებს).

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიღების მიზანია ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს წვდომის უზრუნველყოფა მისი ეფექტიანი საქმიანობისთვის აუცილებელ ინფორმაციაზე.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

კანონპროექტის თანახმად, ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ევალება, დასაბუთებულ მიმართვის საფუძველზე, ეროვნულ ანტიკორუფციულ სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია პირის შემოსავლის და ქონების შესახებ, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა სააგენტოს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს 15 დღის ვადაში (ან 30 დღის ვადაში, თუ ინფორმაციის მოპოვება დაკავშირებულია მონაცემების შეგროვებასა და ანალიზთან)

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

*ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:*

კანონპროექტი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ფინანსურ შედეგებს.

*ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი ადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):*

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის რაიმე გადასახდელს.

*გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივს ტანდარტებთან.*

*გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:*

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

*გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:*

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

*გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:*

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

*დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.*

*დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

*დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

*ე) კანონპროექტის ავტორი:*

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“

*ვ) კანონპროექტის ინიციატორი:*



**„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“  
საქართველოს კანონის იმ მუხლების დანართი, რომელშიც უნდა განხორციელდეს  
ცვლილებები**

მუხლი 10. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური

1. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ამ კანონითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

1<sup>1</sup>. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ამ კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

1<sup>2</sup>. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო თათბირებზე, საბჭოებსა და ორგანიზაციებში.

1<sup>3</sup>. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და საკუთარი სახელწოდებით, დამოუკიდებელი ბალანსი და ანგარიში სახელმწიფო ხაზინაში. ამასთანავე, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ჰქონდეს ანგარიში კომერციულ ბანკშიც.

1<sup>4</sup>. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური განხორციელებული საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

1<sup>5</sup>. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე.

2. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური შესაბამის საზედამხედველო ორგანოსთან შეთანხმებით ადგენს საექვო გარიგებაზე ანგარიშგების ფორმას. ანგარიშგების ფორმა სხვა ინფორმაციასთან ერთად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საექვო გარიგებისა და მისი მონაწილე პირების, აგრეთვე საბანკო ანგარიშების (სადაც ეს შესაძლებელია) შესახებ.

3. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური განსაზღვრავს და მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ გარიგების საექვობის დადგენის მიზნით აწვდის მათ ინფორმაციას (ჩამონათვალს, მითითებებს და ა.შ) საექვო გარიგებისა და მისი მონაწილე პირების შესახებ.

4. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს უფლება აქვს: ა) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ან ტერორიზმის დაფინანსების, ასევე სხვა დანაშაულებრივი საქმიანობის ფაქტების გამოვლენის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მონიტორინგის განმახორციელებელი პირისაგან მოითხოვოს და მიიღოს დამატებითი ინფორმაცია და მის ხელთ არსებული დოკუმენტები (ორიგინალები ან ასლები), მათ შორის, კონფიდენციალური, ნებისმიერი გარიგების (ოპერაციის), მათ შორის, საბანკო ანგარიშის, ან გარიგების (ოპერაციის) დადების ან შესრულების მცდელობის და მისი მონაწილე პირების

შესახებ, ასევე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ამ კანონით მისთვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად; ბ) საზედამხებდველო ორგანოებს მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამისი რეაგირებისათვის; გ) ამ კანონის შესრულების მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები; დ) მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკური სფეროს მარეგულირებელ და მის უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებასა და განხილვაში; ე) მინიჭებული ფუნქციების შესრულების მიზნით გააგზავნოს შეკითხვები და მიიღოს ინფორმაცია ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან ან დაწესებულებიდან, აგრეთვე ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს საჯარო - სამართლებრივ უფლებამოსილებებს; ვ) მიმართოს სასამართლოს ქონებაზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშზე) ყადაღის დადების ან გარიგების (ოპერაციის) შეჩერების მიზნით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ქონება (მათ შორის, გარიგების თანხა) შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტერორიზმის დასაფინანსებლად (ასეთ შემთხვევაში მასალები დაუყოვნებლივ გადაეცემა საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს).

5. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ვალდებულია: ა) შექმნას საინფორმაციო ქსელი, განახორციელოს მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაცია და ანალიზი, უზრუნველყოს შესაბამისი მონაცემთა აღრიცხვის ბაზის შექმნა და ფუნქციონირება; ბ) შესაბამისი ინფორმაციის ანალიზის შედეგად დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში, რომ გარიგება საეჭვოა და ხორციელდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ან ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის ჩადენის მიზნით, დაუყოვნებლივ, ნებისმიერი ორგანოსაგან ან პირისაგან ნებართვის მიღების გარეშე, გადასცეს ეს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) და თავის ხელთ არსებული სათანადო მასალები საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს; გ) შეისწავლოს ამ კანონის შესრულების მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ კანონის მიზნის მიღწევას.

6. ნებისმიერი პირი ან ორგანო საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში არსებულ, საქართველოს კანონმდებლობით კონფიდენციალურად აღიარებულ ინფორმაციას მიიღებს მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი აქტის წარდგენის საფუძველზე, გარდა საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ამ კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა. არავის არა აქვს უფლება, დაავალოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს რაიმე ინფორმაციის მოძიება (მოპოვება).

7. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მართვასთან, სტრუქტურასთან და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს

მთავრობა. ამასთანავე, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მოთხოვნები.

პროექტი

## საქართველოს კანონი

### „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 30.09.2002, მუხ. 125) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

#### **1. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 14<sup>1</sup> მუხლი:**

„მუხლი 14<sup>2</sup>. კომისიის წევრისა და კომისიის აპარატის მმართველ თანამდებობაზე მომუშავე პირის ინტერესთა კონფლიქტი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან ვადამდე შეწყვეტის შემდეგ

1. კომისიის წევრს უფლებამოსილების ვადის გასვლიდან ან ვადამდე შეწყვეტიდან 1 წლის განმავლობაში, ხოლო კომისიის აპარატის მმართველ თანამდებობაზე მომუშავე პირს – შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში, უფლება არა აქვს, ახორციელებდეს რაიმე ანაზღაურებად საქმიანობას, ფლობდეს იმ საწარმოს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს, იყოს იმ პირის თანამდებობის პირი, წარმომადგენელი, რწმუნებული ან კონსულტანტი ან ჰქონდეს სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი იმ პირის მიმართ, რომლის საქმიანობაც კომისიის რეგულირების სფეროს განეკუთვნება.

2. კომისიის წევრს უფლებამოსილების ვადის გასვლიდან ან ვადამდე შეწყვეტიდან 1 წლის განმავლობაში ენიშნება კომპენსაცია არსებული ხელფასის ერთი მესამედის ოდენობით.

3. კომისიის აპარატის მმართველ თანამდებობაზე მომუშავე პირს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში ენიშნება კომპენსაცია არსებული ხელფასის არანაკლებ ერთი მესამედის ოდენობით.

4. პირის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მის მიერ მიღებული კომპენსაცია ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბრუნებას.”

**2. მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „2<sup>1</sup>” პუნქტი:**

„2<sup>1</sup>. კომისიის წევრი უნდა იყოს დაინტერესებულ მხარეთაგან დამოუკიდებელი პროფესიულ საქმიანობაში, შეფასებასა და გადაწყვეტილების მიღებაში. “

**3. მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „3<sup>1</sup>” და „3<sup>2</sup>” პუნქტები:**

„3<sup>1</sup>. კომისიის წევრი არ უნდა ახორციელებდეს სხვა ისეთ საქმიანობას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის მიუკერძოებლობაზე და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დამოუკიდებლობაზე.

3<sup>2</sup>. თუ არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით განსაზღვრული ურთიერთობები კომისიის წევრსა და იმ ეკონომიკურ აგენტს შორის, რომლის საქმეც განიხილება კომისიაში, კომისიის წევრმა დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.”

**4. მე-15 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:**

„7. კომისიის უფლებამოსილი პირის მიერ ამ მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

## განმარტებითი ბარათი

### „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

“ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები, როგორცაა საქართველოს კომუნიკაციებისა და ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიები, თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელი უნდა იყვნენ ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლისაგან, სახელმწიფო თუ ნებისმიერი სხვა პირის არასათანადო ჩარევისაგან ან ნებისმიერი ისეთი ქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება ხელყოს ან ეჭვქვეშ დააყენოს მარეგულირებლების დამოუკიდებლობა. მოქმედი კანონმდებლობა უკრძალავს მარეგულირებელი ორგანოების კომისიის მოქმედ წევრებს და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს პოლიტიკურ პარტიაში საქმიანობას, მოხელეებსა და ასევე მათი ოჯახის წევრებს არ უნდა ჰქონდეთ პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური

ინტერესი მათ რეგულაციას დაქვემდებარებული პირის მიმართ თუ მათ მფლობელ საწარმოში.

*ბოლო წლების განმავლობაში “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” სამოქალაქო სექტორის და მედიის წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად იკვლევდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ინტერესთა კონფლიქტის საკითხს. ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ არაერთ კვლევებაში მითითებული იყო კომისიონერის ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე რაც მოგვიანებით საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილი საგამომეხო კომისიამაც დაადასტურა. სამწუხაროა, რომ წინა მოწვევის საკანონმდებლო ორგანო არ ასრულებდა კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილება და არ რეაგირებდა მარეგულირებელი ორგანოს მაღალი თანამდებობის პირის ინტერესთა კონფლიქტის ფაქტზე.*

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით მარეგულირებელი ორგანოების კომისიის წევრებისა და მაღალი თანამდებობის პირის მიმართ კანონმდებლობის შესაბამისად დეტალურად არის გაწერილი ინტერესთა კონფლიქტის რეგულაციები. იგივე პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არა მარტო მოქმედი მოხელეებისა, ასევე ადმინისტრაციული ორგანოდან წასვლის შემდეგაც დადგენილი თანამდებობის დაკავების შემზღვეველი ნორმები. იმ შემთხვევაში თუ მარეგულირებელი ორგანოს თანამდებობის პირი საჯარო სამსახურის დატოვებს და სამუშაოდ გადადის კერძო სექტორში წარმოიშვება საფრთხე მოხელის მიერ მოხდება ე.წ. “შიდა ინფორმაციის” გამოყენება, რაც ნეგატიურად იმოქმედებს როგორც კონკურენტულ გარემოზე, ასევე ზიანს მიაყენებს თავად საჯარო სამსახურს. პრობლემატურია, როდესაც მოხელე მუშაობას იწყებს იმ სექტორში, რომლის რეგულურიება მას როგორც მარეგულირებელი ორგანოს წევრს ევალებოდა.

საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, როდესაც მარეგულირებელი ორგანოს მაღალი თანამდებობის პირებს საჯარო სამსახურიდან წასვლის შემდეგ ეკრძალებათ გარკვეული პერიოდის განმავლობაში კერძო სექტორის იმ კომპანიებში საქმიანობა, გარდა სამეცნიეროსა, რომლის რეგულირებაც ადმინისტრაციული საქმიანობის დროს ევალებოდათ. კანონმდებელი ადგენს დროებით შეზღუდვებს ყოფილი მოხელეების მიმართ, ოღონდ აღნიშნული შეზღუდვა უნდა იყოს გონივრულად პროპორციული და ითვალისწინებდეს შესაბამის ფინანსურ კომპენსაციას.

### **ა.ბ) კანონპროექტის მიზანი**

კანონპროექტის მიზანია საქართველოს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს კომისიის წევრებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისათვის საჯარო სამსახურიდან წასვლის შემდეგ გარკვეული პერიოდით აკრძალვით იმ სექტორში საქმიანობა, რომელთა რეგულირების სფეროსაც წარმოადგენდა. აღნიშნული შეზღუდვის სანაცვლოდ ყოფილი მოხელეები ეროვნული მარეგულირებლისაგან ფულად კომპენსაციას მიიღებენ.

კანონპროექტით შემოთავაზებული რეგულაციები ხელს შეუწყობს საქართველოში ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრას, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს გაძლიერებასა და მარეგულირებელი ორგანოს მიმართ ნდობის ხარისხის ამაღლებას.

### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

კომისიის წევრს უფლებამოსილების ვადის გასვლიდან ან ვადამდე შეწყვეტიდან 1 წლის განმავლობაში, ხოლო კომისიის აპარატის მმართველ თანამდებობაზე მომუშავე პირს – შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში, უფლება არა აქვს, ახორციელებდეს რაიმე ანაზღაურებად საქმიანობას, ფლობდეს იმ საწარმოს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს, იყოს იმ პირის თანამდებობის პირი, წარმომადგენელი, რწმუნებული ან კონსულტანტი ან ჰქონდეს სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი იმ პირის მიმართ, რომლის საქმიანობაც კომისიის რეგულირების სფეროს განეკუთვნება.

კომისიის წევრს უფლებამოსილების ვადის გასვლიდან ან ვადამდე შეწყვეტიდან 1 წლის განმავლობაში ენიშნება კომპენსაცია არსებული ხელფასის ერთი მესამედის ოდენობით.

კომისიის აპარატის მმართველ თანამდებობაზე მომუშავე პირს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში ენიშნება კომპენსაცია არსებული ხელფასის არანაკლებ ერთი მესამედის ოდენობით.

კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ყოფილი მოხელის მიერ მიღებული კომპენსაცია ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბრუნებას.’

### **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტი.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში პირებს, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება უფლება აქვთ უფლებამოსილების ვადის გასვლიდან ან ვადამდე შეწყვეტიდან ან უფლებამოსილების შეწყვეტიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიიღონ ახალი კანონით დადგენილი ფულადი კომპენსაცია

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის და მოსაკრებლის დაწესებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**



კანონპროექტის შემუშავების პროცესში კონსულტაციაში გავლილი იყო მარეგულირებელი ორგანოსა და მათ რეგულაციაში მყოფი კომპანიების წარმომადგენლებთან.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს

**ე) კანონპროექტის ავტორი:**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**

**„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“  
საქართველოს კანონის იმ მუხლების დანართი, რომელშიც უნდა განხორციელდეს  
ცვლილებები**

მუხლი 15. ეთიკის ნორმები

1. ეთიკასთან და ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით კომისიის წევრზე ვრცელდება ამ კანონითა და შესაბამისი კანონით დადგენილი წესი.
2. კომისიის წევრი ვალდებულია შეაჩეროს პოლიტიკური პარტიის წევრობა კომისიის წევრად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. დაუშვებელია ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსა და მის აპარატში პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მათი სტრუქტურული ერთეულების შექმნა.
3. კომისიის წევრსა და მისი ოჯახის წევრს, აგრეთვე ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს აპარატის თანამშრომელს უფლება არა აქვთ, ჰქონდეთ პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი ლიცენზიის მფლობელის მიმართ, ან ეკავოთ თანამდებობა ლიცენზიის მფლობელ საწარმოში.
4. კომისიის წევრსა და აპარატის თანამშრომელს უფლება არა აქვთ, მიიღონ საჩუქარი იმ პირისაგან ან ორგანიზაციისაგან, რომელზედაც ვრცელდება შესაბამისი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილება, ან ისარგებლონ ამავე პირის ან ორგანიზაციის შეღავათიანი ან უფასო მომსახურებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ყველასთვის ხელმისაწვდომია.
5. კომისიის წევრსა და აპარატის თანამშრომელს უფლება აქვთ, იყვნენ იმ პირის მომხმარებლები, რომელზედაც ვრცელდება შესაბამისი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილება.

6. კომისიის წევრი ვალდებულია შეავსოს და წარადგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

პროექტი

## საქართველოს კანონი

### „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 06.06.2005, მუხ. 175) მე-19 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ“ ქვეპუნქტი:

„პ) უზრუნველყოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“  
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები, თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელი უნდა იყვნენ ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლისაგან, სახელმწიფო თუ ნებისმიერი სხვა პირის არასათანადო ჩარევისაგან ან ნებისმიერი ისეთი ქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება ხელყოს ან ეჭვქვეშ დააყენოს მარეგულირებლების დამოუკიდებლობა. მოქმედი კანონმდებლობა უკრძალავს მარეგულირებელი ორგანოების კომისიის მოქმედ წევრებს და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს პოლიტიკურ პარტიაში საქმიანობას, მოხელეებსა და ასევე მათი ოჯახის წევრებს არ უნდა ჰქონდეთ პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი მათ რეგულაციას დაქვემდებარებული პირის მიმართ თუ მათ მფლობელ საწარმოში.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მიზანი**

კანონპროექტის მიზანია კანონპროექტი შესაბამისობაში მოვიდეს „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ კანონთან“.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

ავტორიზებული პირი ვალდებულია უზრუნველყოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვა.

#### **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

##### **ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების ბიუჯეტი.

##### **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

##### **ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

##### **ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში პირებს, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება უფლება აქვთ უფლებამოსილების ვადის გასვლიდან ან ვადამდე შეწყვეტიდან ან უფლებამოსილების შეწყვეტიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიიღონ ახალი კანონით დადგენილი ფულადი კომპენსაცია

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის და მოსაკრებლის დაწესებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავების პროცესში კონსულტაციაში გავლილი იყო მარეგულირებელი ორგანოსა და მათ რეგულაციაში მყოფი კომპანიების წარმომადგენლებთან.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს

**ე) კანონპროექტის ავტორი:**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“

## საქართველოს კანონის იმ მუხლების დანართი, რომელშიც უნდა განხორციელდეს ცვლილებები

მუხლი 19. ავტორიზებულ პირთა ზოგადი უფლებები და ვალდებულებები

1. ავტორიზებული პირი უფლებამოსილია:

ა) საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორს მოსთხოვოს მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ან/და ურთიერთჩართვის მიწოდება;

ბ) თავისი საქმიანობისას, ამ კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს ამოწურვადი რესურსით და დაადგინოს საკუთარი ქსელის ელემენტებთან დაშვების და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ტარიფები;

გ) ამ კანონით დადგენილი წესით, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირებს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები;

დ) (ამოღებულია - 28.12.2005, №2564);

ე) კომისიის სამართლებრივი აქტი გაასაჩივროს სასამართლოში.

2. ავტორიზებული პირი ვალდებულია:

ა) სრულად და მოთხოვნილ ვადაში მიაწოდოს კომისიას ამ კანონითა და კომისიის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ, მათ შორის, ფინანსურ-ეკონომიკური დოკუმენტაცია, მისი კონფიდენციალურობის მიუხედავად, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კომისიამ უნდა დაიცვას კონფიდენციალურობა მიწოდებული ინფორმაციისა, რომელიც ითვლება კომერციულ საიდუმლოებად ან პერსონალურ მონაცემებად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. განზოგადებული ინფორმაცია მომსახურების ბაზრის თაობაზე, ასევე მონაცემები აბონენტთა რაოდენობის, ტრაფიკის, მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ არ შეიძლება იყოს კონფიდენციალური. ავტორიზებული პირის მიერ არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება ითვლება ინფორმაციის მიუწოდებლობად;

ბ) შეასრულოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს მთავრობის დადგენილებები, აგრეთვე კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები;

გ) თავისი საქმიანობის ან/და მომსახურების მოდიფიცირების, ასევე წილის ან აქციების მფლობელთა ცვლილების თაობაზე 7 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს კომისიას, რომელსაც ეს ინფორმაცია შეაქვს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში;

დ) მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამის თავისუფალ ელემენტებთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან მსურველი ავტორიზებული პირის შეუზღუდავი დაშვება;

- ე) შეინარჩუნოს ქსელის ინტეგრაცია და დაცულობა;
- ვ) არ დაუშვას ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით არასანქცირებული სარგებლობა;
- ზ) უზრუნველყოს მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების დაცვა;
- თ) უზრუნველყოს გამოყოფილი ნუმერაციის რესურსის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა ყველა ბოლო მომხმარებლისათვის, ამ კანონით დადგენილი პირობების დაცვით;
- ი) უზრუნველყოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით სარგებლობისას მომხმარებლის უსაფრთხოების წესების დაცვა;
- კ) უზრუნველყოს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობისას ელექტრომაგნიტური თავსებადობა და ხელშეშლებისა და მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა;
- ლ) გადაიხადოს რეგულირების საფასური, ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასური და სალიცენზიო/სანებართვო მოსაკრებელი; მ) ამ კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების შეცვლის შემთხვევაში კომისიას წერილობით აცნობოს ამის შესახებ და ცვლილებების რეგისტრაციიდან 7 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები;
- ნ) სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის სისტემის გამოყენებითა და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სააბონენტო ნომრების პორტაბელურობა (ტრანსლირება) კომისიის მიერ დამტკიცებული სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების შესაბამისად;
- ო) შეასრულოს მისთვის, როგორც ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლისთვის, საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით დაკისრებული ვალდებულებები.
3. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორმა, რომელიც ადგილობრივი მომსახურების ზონაში სააბონენტო ნუმერაციის რესურსის გამოყენებით ახორციელებს ბოლო მომხმარებლების მომსახურებას, უნდა უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დანახარჯებზე ორიენტირებული ტარიფებით შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული დაშვებით სხვა მსურველი ოპერატორებისათვის ან ელექტრონული საკომუნიკაციო უწყებრივი ქსელის მფლობელი პირებისათვის ურთიერთჩართვის პირდაპირი ან არაპირდაპირი მიწოდება. დაუშვებელია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებს შორის მოქმედი ურთიერთჩართვის შეწყვეტა. ურთიერთჩართული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ მოქმედი ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების მეორე მხარე უფლებამოსილია ამ პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად შეაჩეროს მოქმედი ურთიერთჩართვა მხოლოდ კომისიის თანხმობით და მის მიერ განსაზღვრული ვადითა და პირობებით.

## საქართველოს კანონი

### „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №5, 18.01.2005, მუხ. 19) 70-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>1</sup> პუნქტი:

„1<sup>1</sup>. მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

განმარტებითი ბარათი

„მაუწყებლობის შესახებ“  
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები, თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელი უნდა იყვნენ ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლისაგან, სახელმწიფო თუ ნებისმიერი სხვა პირის არასათანადო ჩარევისაგან ან ნებისმიერი ისეთი ქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება ხელყოს ან ექვექვემ დააყენოს მარეგულირებლების დამოუკიდებლობა. მოქმედი კანონმდებლობა უკრძალავს მარეგულირებელი ორგანოების კომისიის მოქმედ წევრებს და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს პოლიტიკურ პარტიაში საქმიანობას, მოხელეებსა და ასევე მათი ოჯახის წევრებს არ უნდა ჰქონდეთ პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი მათ რეგულაციას დაქვემდებარებული პირის მიმართ თუ მათ მფლობელ საწარმოში.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მიზანი**

კანონპროექტის მიზანია კანონპროექტი შესაბამისობაში მოვიდეს „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ კანონთან“.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვა.

#### **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

##### **ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების ბიუჯეტი.

##### **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

##### **ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

##### **ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.



**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში პირებს, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება უფლება აქვთ უფლებამოსილების ვადის გასვლიდან ან ვადამდე შეწყვეტიდან ან უფლებამოსილების შეწყვეტიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიიღონ ახალი კანონით დადგენილი ფულადი კომპენსაცია

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის და მოსაკრებლის დაწესებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავების პროცესში კონსულტაციაში გავლილი იყო მარეგულირებელი ორგანოსა და მათ რეგულაციაში მყოფი კომპანიების წარმომადგენლებთან.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს

**ე) კანონპროექტის ავტორი:**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**

**„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის**

**იმ მუხლების დანართი, რომელშიც უნდა განხორციელდეს ცვლილებები**

მუხლი 70. ანგარიშვალდებულება

1. მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს მის მიერ გადაცემული პროგრამების, რეკლამისა და სპონსორების შესახებ ინფორმაციის საქართველოს კანონმდებლობასთან და ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობა.
2. მაუწყებლის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებს მხოლოდ კომისია, გარდა საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლისა.
- 2<sup>1</sup>. ეროვნული მაუწყებელი ვალდებულია ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) კომისიის მიერ დამტკიცებული და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებით სამოქმედოდ შემოღებული სტანდარტების მიხედვით.
3. მაუწყებელი ვალდებულია ყოველი წლის 1 მაისამდე კომისიას წარუდგინოს და თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს გასული წლის ანგარიში საქართველოს კანონმდებლობის, სალიცენზიო პირობებისა და ქვევის კოდექსის მოთხოვნათა

შესრულებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ. ანგარიშს უნდა დაერთოს აუდიტის დასკვნა.

3<sup>1</sup>. ეროვნული მაუწყებელი ვალდებულია ყოველი წლის 1 მაისამდე კომისიას მიაწოდოს ინფორმაცია თავისი გასული წლის აქტივებისა და პასივების, აგრეთვე გასულ წელს განხორციელებული ინვესტიციების (მათი ოდენობისა და ინვესტორთა მითითებით) შესახებ.

4. კომისია ადგენს ანგარიშგების ელექტრონულ ფორმებს. ანგარიშგების ფორმებში, გარდა ამ კანონით განსაზღვრული სხვა ინფორმაციისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს ინფორმაცია მაუწყებლის დაფინანსების წყაროების შესახებ, მათ შორის, ცალ-ცალკე რეკლამიდან, სპონსორობიდან, ტელეშოპინგიდან და მაუწყებლის მფლობელის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ განხორციელებული შემოწირულებებიდან მიღებული შემოსავლების თაობაზე. ანგარიშგების ფორმებში გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე ინფორმაცია მაუწყებლისთვის გაწეული მომსახურების შესახებ, მათ შორის, მაუწყებლის მფლობელის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ გაწეული ფასიანი თუ უფასო მომსახურების თაობაზე. მაუწყებელი ვალდებულია ყოველი კვარტალის დასრულების შემდეგ მომდევნო თვის 15 რიცხვამდე წარუდგინოს კომისიას ანგარიშგების ფორმები.

4<sup>1</sup>. კომისია ანგარიშგების ფორმების მიღებიდან 7 დღეში აქვეყნებს ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ, მაუწყებელთა მიერ შევსებულ ანგარიშგების ფორმებს.

4<sup>2</sup>.. კომისია ასაჯაროებს იმ პირის ვინაობას, რომლის მიერ მაუწყებელში ბოლო 3 თვის განმავლობაში განთავსებული რეკლამის ან ტელეშოპინგის, განხორციელებული სპონსორობის ან გაწეული მომსახურების ღირებულებამ ან განხორციელებულმა შემოწირულებამ შვიდი ათას ლარზე მეტი შეადგინა.

5. კომისია უფლებამოსილია მაუწყებლისაგან გამოითხოვოს, ხოლო მაუწყებელი ვალდებულია კომისიას სრულად და მოთხოვნილ ვადაში მიაწოდოს ამ კანონითა და კომისიის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობის, ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობებისა და ქვევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულების შესახებ, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მაუწყებლის მიერ კომისიისათვის არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება ითვლება ინფორმაციის მიუწოდებლობად. მაუწყებელმა მოთხოვნილი ინფორმაცია კომისიას უნდა წარუდგინოს მოთხოვნიდან 15 დღის ვადაში, თუ კომისიის მიერ სხვა ვადა არ არის განსაზღვრული. კომისია უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა და ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციები.

## საქართველოს კანონი

### „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №33, 31 ივლისი, 1997, გვ. 20) 23-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვის უზრუნველყოფა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

## განმარტებითი ბარათი

### „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები, თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელი უნდა იყვნენ ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლისაგან, სახელმწიფო თუ ნებისმიერი სხვა პირის არასათანადო ჩარევისაგან ან ნებისმიერი ისეთი ქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება ხელყოს ან ეჭვქვეშ დააყენოს მარეგულირებლების დამოუკიდებლობა. მოქმედი კანონმდებლობა უკრძალავს მარეგულირებელი ორგანოების კომისიის მოქმედ წევრებს და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს პოლიტიკურ პარტიაში საქმიანობას, მოხელეებსა და ასევე მათი ოჯახის წევრებს არ უნდა ჰქონდეთ პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი მათ რეგულაციას დაქვემდებარებული პირის მიმართ თუ მათ მფლობელ საწარმოში.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მიზანი**

კანონპროექტის მიზანია კანონპროექტი შესაბამისობაში მოვიდეს „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ კანონთან“.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

ბაზრის ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვა.

#### **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

##### **ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების ბიუჯეტი.

##### **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

##### **ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

##### **ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

##### **ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში პირებს, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება უფლება აქვთ უფლებამოსილების ვადის გასვლიდან ან

ვადამდე შეწყვეტიდან ან უფლებამოსილების შეწყვეტიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიიღონ ახალი კანონით დადგენილი ფულადი კომპენსაცია

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის და მოსაკრებლის დაწესებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავების პროცესში კონსულტაციაში გავლილი იყო მარეგულირებელი ორგანოსა და მათ რეგულაციაში მყოფი კომპანიების წარმომადგენლებთან.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს

**ე) კანონპროექტის ავტორი:**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“

## საქართველოს კანონის იმ მუხლების დარათი, რომელშიც უნდა განხორციელდეს ცვლილებები

მუხლი 23. ბაზრის ოპერატორი

1. ბაზრის ოპერატორის ფუნქციებია:

ა) საბალანსო ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვა პირდაპირი ხელშეკრულების ან პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების, აგრეთვე იმპორტსა და ექსპორტზე მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმებით;

ბ) გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვა ამ კანონითა და „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილი წესით;

გ) საბითუმო ყიდვა-გაყიდვის შესახებ ერთიანი ბაზის, მათ შორის, აღრიცხვიანობის ერთიანი რეესტრის, შექმნა და წარმოება;

დ) ამ კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის მიხედვით ელექტროენერჯის გამყიდველების, მყიდველების, მათ მიერ გაყიდული და შესყიდული ელექტროენერჯის რაოდენობების განსაზღვრა და ანგარიშსწორებისათვის ინფორმაციის წარდგენა „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილი წესით;

ე) ამ კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

2. ბაზრის ოპერატორი, რომელიც დამოუკიდებლად ასრულებს ამ კანონით მინიჭებულ ფუნქციებს, ხელმძღვანელობს შესაბამისი სამართლებრივი აქტებით და სხვა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

3. კვალიფიციური საწარმოები და ტრანზიტის ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, ბაზრის ოპერატორს წარუდგინონ ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ბაზრის ოპერატორის ფუნქციების სრულყოფილად შესასრულებლად.

4. საქართველოში ახალი ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე საქართველოს მთავრობას, ბაზრის ოპერატორსა და შესაბამის პირს შორის შეთანხმების შემთხვევაში ბაზრის ოპერატორი ვალდებულია შესაბამის პირთან გააფორმოს პირდაპირი ხელშეკრულება ახალი აშენებული ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ან/და გარანტირებული სიმძლავრის ნასყიდობის შესახებ იმ პირობებით, რომლებზედაც შეთანხმდნენ საქართველოს მთავრობა, ბაზრის ოპერატორი და შესაბამისი პირი. ასეთ შემთხვევაში, თუ ამ კანონის შესაბამისად ახალი ელექტროსადგურების მიმართ მიღებულია გადაწყვეტილება დერეგულირების თაობაზე, შესასყიდი ელექტროენერჯის ღირებულება განისაზღვრება საქართველოს მთავრობას, ბაზრის ოპერატორსა და შესაბამის პირს შორის გაფორმებული შეთანხმებით.

5. საქართველოში ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ბაზრის ოპერატორი ვალდებულია გააფორმოს ელექტროენერჯის (სიმძლავრის) გაყიდვის (მიწოდების) ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და შესაბამის პირს შორის შეთანხმებული პირობებით და შეთანხმებულ ფასად.

